დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ტალიაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

წევრები:

ნინო ღაღანიძე სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, თბილისი, საქართველო

მარი რუაძე სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	203851028
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	რუსთაველის გამზირი N19, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, 0108, საქართველო
ვებ-გვერდი	www.tafu.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	14.09.2018 #69
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	14.09.2024

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	15
ბაკალავრიატი	5
მაგისტრატურა	5
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	4
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	1
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	14
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			1700
	აქტიური	შეჩერებული (სრული მონაცემები რეესტრის მიხედვით)	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	776	581	60%
ბაკალავრიატი	668	357	77%
მაგისტრატურა	48	138	70%
ერთსაფეხურიანი			-
დოქტორანტურა	59	71	33%
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	6	1	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	1	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	**308**
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**108**
- პროფესორი	18
- ასოცირებული პროფესორი	43
- ასისტენტ პროფესორი	12
- ასისტენტი	35
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**6**
- მეცნიერი	6
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	108
- აფილირებული პროფესორი	18
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	43
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	12
- აფილირებული ასისტენტი	35
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**104**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**90**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	15859.32
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	11618.47
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	4240.85

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 18 სექტემბრის №843 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესორ მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის საჩივარში დასმული საკითხების საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 5.1 და 7.1 სტანდარტების კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება.

მონიტორინგის ვიზიტი წარიმართა მშვიდ სამუშაო გარემოში ურთიერთანამშრომლობის პრინციპებზე დაყრდნობით. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან მოწოდებულ იქნა ყველა საჭირო დოკუმენტაცია. მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა ადმინისტრაციის წარმომადგენლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და აკადემიური პერსონალის ინტერვიუირება.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 20.09.2019

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
-	-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა
რეკომენდაციები

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განხორციელდეს ცვლილება, რომელიც ეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, კერძოდ გასწორდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს სწავლის დაწყებიდან 5 კვირის შემდეგ ეზღუდება სტატუსის შეჩერების უფლება;
2. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;
3. მოწესრიგდეს სტუდენტის პირადი საქმე, უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად სტუდენტს შეუჩერდეს/შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი;
4. მომზადდეს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ორივე მისამართზე - რუსთაველის გამზირი N19 და დავით აღმაშენებლის გამზირი N40;
5. განხორციელდეს აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობის ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, რაც გულისხმობს შესაბამისი სველი წერტილების

მოწყობას, ასევე შესაბამისი გარემოს მოწყობას, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს მისცემს საშუალებას, რომ შეუფერხებლად გადაადგილდებოდნენ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

6. დამონტაჟდეს კამერები აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობაში მეორე სართულზე;
7. მომზადდეს დასკვნები შენობის უსაფრთხოების შესახებ - რუსთაველის გამზირი N19 და დავით აღმაშენებლის გამზირი N40.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ნინო ტალიაშვილი (თავმჯდომარე)

2. ნინო ღაღანიძე (წევრი)



3. მარი რუაძე (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ზემოაღნიშნული საკითხები რეგულირდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 სექტემბრის №16 ოქმით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან 5 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს სტატუსის შეჩერებისა და სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას.“ აღნიშნულთან დაკავშირებით ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ არსებული ჩანაწერი, კერძოდ, 5 კვირიანი ვადა ეხება გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნების საკითხს და რეალურად სტუდენტს უნივერსიტეტი არ უზღუდავს სტატუსის შეჩერების უფლებას 5 კვირის შემდეგაც. უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია, არსებული ჩანაწერის დაკორექტირების შესახებ, რათა არ დაირღვეს სტუდენტთა უფლებები. აღსანიშნავია, რომ კინო-ტელე ფაკულტეტის საშემსრულებლო - შემოქმედებითი მიმართულების საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის მე-6 მუხლის თანახმად კინო-ტელე მიმართულების

საბაკალავრო ნაშრომის დაფინანსება ხორციელდება საჯაროდ, გამჭვირვალედ, სამართლიანობის პრინციპის დაცვით. კინო-ტელე მიმართულების საბაკალავრო ნაშრომი ფინანსდება ინდივიდუალურად. საბაკალავრო ნაშრომის პროექტი წარედგინება სამხატვრო საბჭოს მეშვიდე სემესტრის დასაწყისიდან არაუგვიანეს 25 მარტისა. სამხატვრო საბჭო ღებულობს გადაწყვეტილებას საბაკალავრო პროექტის დაფინანსების თაობაზე და მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. თუ დაფინანსებული პროექტი არ შესრულდა და არ იქნა წარდგენილი დაცვაზე წესით დადგენილ ვადებში, ორი წლის შემდეგ ბაკალავრს უჩერდება სტუდენტის სტატუსი და იგი ვალდებულია დაუბრუნოს უნივერსიტეტს საბაკალავრო ნაშრომისთვის გამოყოფილი თანხა.

მონიტორინგის ჯგუფმა ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და კურსდამთავრებულებთან გადაამოწმა ზემოაღნიშნული ჩანაწერის (ორი წლის შემდეგ სტატუსის შეჩერება) შინაარსობრივი დატვირთვა და დაადგინა, რომ სტუდენტს საბაკალავრო ნაშრომზე დარეგისტრირებიდან 2 წლის განმავლობაში აქვს აქტიური სტატუსი და ამ ვადაში უფლებამოსილია დაიცვას ნაშრომი. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად ,,დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას“. ამდენად, არსებული რეგულაცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სტუდენტი, რომელიც იმავე ან მომდევნო სემესტრში ვერ ახერხებს ნაშრომის დაცვას, მას აღარ უნდა ჰქონდეს აქტიური სტატუსი და უნდა მოხდეს მისთვის სტატუსის შეჩერება. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნული ჩანაწერის არსებობა დაუკავშირეს პროგრამის თავისებურებას, კერძოდ, მათი განმარტებით რიგ შემთხვევებში სტუდენტთა მიერ ნაშრომის შესრულება უკავშირდება სეზონურობას და მათ სჭირდებათ მეტი დრო ვიდრე ერთი ან ორი სემესტრი.

მონიტორინგის ჯგუფის მიერ გადამოწმდა საინიციატივო ჯგუფის საჩივარში დასმული სტუდენტის პირადი საქმე და გამოირკვა, რომ აღნიშნული სტუდენტი დღემდე აქტიური სტატუსის მქონეა, ვინაიდან არ არსებობს ბრძანება მისი სტატუსის შეწყვეტის შესახებ. სტუდენტი უნივერსიტეტში ჩაირიცხა 2006 წელს. ამჟამად სტუდენტი არ არის ჩართული სასწავლო პროცესში და უნივერსიტეტთან არანაირი კომუნიკაცია არ აქვს. ხარისხის სამსახურის მიერ მონიტორინგის ჯგუფს განემარტა, რომ აღნიშნული სტუდენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ფიქსირდება, როგორც კურსდამთავრებული, რაც არ შეესაბამება რეალობას, ვინაიდან სტუდენტს არ დაუსრულებია საგანმანათლებლო პროგრამა და არ მინიჭებია კვალიფიკაცია. მონიტორინგის ჯგუფმა გიორგი ჭანუყვაძის სტატუსი გადაამოწმა რეესტრში, სადაც იგი ნამდვილად კურსდამთავრებულად ფიქსირდებოდა. ამდენად, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაცია მოაწესრიგოს ზემოაღნიშნული სტუდენტის პირადი საქმე, რაც გულისხმობს სტუდენტის რეალური სტატუსის ამსახველი ბრძანების (შეჩერება/შეწყვეტა) გამოცემას. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა მსგავსი ხასიათის პრობლემა ფიქსირდებოდა კიდევ რამდენიმე სტუდენტთან დაკავშირებით. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში გიორგი ჭანუყვაძისა და სხვა სტუდენტთა სტატუსებთან დაკავშირებით ცვლილების განხორციელება. ის სტუდენტები, რომლებსაც არ მინიჭებიათ კვალიფიკაცია არ უნდა ფიქსირდებოდნენ, როგორც კურსდამთავრებულები.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ გადამოწმდა ინფორმაცია გიორგი ჭანუყვაძის თანაკურსელების შესახებ, რომლებიც 2006 წელს ჩაირიცხნენ კინო რეჟისურის პროგრამაზე. აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება მიზნად ისახავდა იმ გარემოების დადგენას, თუ რამდენმა პირმა შეძლო პროგრამის დასრულება და დიპლომის აღება. დოკუმენტაციის გადამოწმებისა შედეგად დადგინდა, რომ ჩარიცხული 5 პირიდან 2009-2010 სასწავლო წელს კვალიფიკაცია მიენიჭა 2 პირს, 1 პირს შეუჩერდა სტატუსი ფინანსური დავალიანების გამო, ხოლო 5 წლის გასვლის შემდეგ შეუწყდა სტუდენტის სტატუსი. 1 პირი კი მობილობით გადავიდა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საჩივარში დასახელებულ პირს, რომელსაც დაძლეული ჰქონდა სასწავლო კომპონენტი არ შეუსრულებია საბაკალავრო ნაშრომი და უნივერსიტეტის შეტყობინებების მიუხედავად არ გამოუთქვამს სურვილი აღნიშნულ კომპონენტზე დარეგისტრირების შესახებ.

მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები, როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რეგულაციებისა და მათი უფლებების შესახებ, განსაკუთრებით იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საბაკალავრო ნაშრომის დაცვა. მათი განმარტებით, ისინი ადმინისტრაციისგან ღებულობენ შესაბამის მხარდაჭერას და მათ ხშირად უტარდებათ საკონსულტაციო შეხვედრები. კურსდამთავრებულთა განმარტებით საბაკალავრო ნაშრომის დაცვის დროს მათ არ შექმნიათ პრობლემა ვიდეო-კამერების გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან უნივერსიტეტში დგება ე.წ. გრაფიკი, რომლის შესაბამისადაც სტუდენტებს მიაქვთ ვიდეო კამერები. ამჟამად უნივერსიტეტში არსებობს 5 კამერა, რომელიც გამოიყენება გადაღებებისთვის. ამასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით უნივერსიტეტმა შეიძინა ტელევიზიის სრული კომპლექტი, რაც ტელე-რეჟისურის პროგრამის სტუდენტებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ შესაბამისი აღჭურვილობა, ამასთან კამერების გამოყენების ნაწილშიც იქნება გარკვეული შეღავათი. ტელევიზია განტვირთავს მათი გამოყენების სიხშირეს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, ასევე განმარტა, რომ მათ შეამცირეს მისაღებ სტუდენტთა კვოტა და დაახლოებით 5 სტუდენტს ღებულობენ პროგრამაზე, რაც ამცირებს რისკს, რომ სტუდენტმა ვერ შეძლოს ვიდეო კამერის გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების და შესრულების წესი 3. სტუდენტის პირადი საქმე 4. ინტერვიუს შედეგები 5. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემები
რეკომენდაციები: 1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში განხორციელდეს ცვლილება,რომელიც ეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერებას; კერძოდ გასწორდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს სწავლის დაწყებიდან 5 კვირის შემდეგ ეზღუდება სტატუსის შეჩერების უფლება; 2. მოწესრიგდეს სტუდენტის პირადი საქმე, უნივერსიტეტის რეგულაციის შესაბამისად სტუდენტს შეუჩერდეს/შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი; 3. საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტს მფლობელობაში აქვს ორი შენობა (დავით აღმაშენებლის გამზირი N40 და შოთა რუსთაველის გამზირი N19 და N23). საჯარო რეესტრის ამონაწერების გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტს შენობები ორივე მისამართზე სახელმწიფოს მიერ გადაცემული აქვს უსასყიდლო უზუფრუქტით უნივერსიტეტის არსებობის ვადით. ამასთან ამონაწერების გადამოწმების შედეგად აღმაშენებლის გამზირზე არ დადასტურდა უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ფართის იჯარით გაცემის ფაქტი. უნივერსიტეტი მისთვის სარგებლობაში გადაცემულ ფართს იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინტერვიუირება საჩივარში ნახსენებ კაფესთან დაკავშირებით და გამოარკვია, რომ კაფე წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მიუხედავად უნივერსიტეტის არაერთი მცდელობისა შეუძლებელი იყო კაფეს დემონტაჟი და სხვა ადგილას გადატანა. რექტორის განმარტებით ბოლო პერიოდში კაფემ ნახევარი მეტრით გადმოიწია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და როდესაც იგი შეეცადა საკითხის გარკვევას, აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტსა და კაფეს შორის არსებობდა თავისუფალი ფართი, რომელიც აუქციონზე გაიყიდა და კაფეს მესაკუთრის მიერ იქნა შეძენილი. ამდენად, კაფე განთავსებულია მის საკუთრებაში არსებულ ფართზე. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საჩივარში დაფიქსირებული კაფის მესაკუთრის გვარით ექსპერტთა ჯგუფმა საჯარო რეესტრში გადაამოწმა მის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი და აღმოჩნდა, რომ მას 2008 წელს აქვს შეძენილი სახელმწიფოსგან 56 კვმ, ხოლო 2016 წელს 8 კვმ. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კაფის ტერიტორიაზე თავდაპირველად განთავსებული იყო საცხობი ჯერ კიდევ 1990-იან წლებში. კაფის არსებობა უნივერსიტეტის შენობის მიმდებარედ თავად უნივერსიტეტისთვისაც ხელისშემშლელია, ვინაიდან ამ ეტაპზე ეზოში ვერ შედის დიდი მოცულობის სახანძრო ეკიპაჟი, შესაძლებელია მხოლოდ მცირე სახანძრო ეკიპაჟის შესვლა და ისიც სიზუსტის მაქსიმალური დაცვით. დაწესებულების წარმომადგენლებმა ამ ეტაპზე მიაღწიეს შეთანხმებას კაფესთან, რომ მუსიკა არ იყოს ჩართული საღამოს საათებში, რათა ხელი არ შეეშალოთ სტუდენტებს.

მონიტორინგის ჯგუფმა განახორციელა რექტორისა და კინო სტუდიის ხელმძღვანელის ინტერვიუირება და გამოარკვია, რომ უნივერსიტეტი არანაირ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება შპს არტ პარალელთან. ამასთან, მონიტორინგის ჯგუფს განემარტა, რომ არტ-პარალელის მიერ დამზადებული პროდუქცია საჭიროებს სრულიად სხვა მონაცემების მქონე ვიდეო კამერებს, უნივერსიტეტში არსებულ კამერებს კი არ აქვთ შესაბამისი პარამეტრები. ინტერვიუს დროს კინო სტუდიის ხელმძღვანელმა, რომელიც ამავდროულად არტ პარალელის ერთ-ერთი დამფუძნებელია აღნიშნა, რომ მაგალითად 2007 წელს ფრანგულ ორგანიზაცია ლა ფემესთან ერთად ფირზე გადაიღეს ფილმის მოკლე ვერსია. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტში კამერების გაცემა ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, რაც წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის მიერ. სტუდიის ხელმძღვანელის განმარტებით უცხო პირზე არ ხდება კამერების გაცემა. ვიზუალური დათვალიერების დროს ადგილზე იყო 4 კამერა, ერთი კამერა გაცემული იყო გადაღებისთვის.

შოთა რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. აღნიშნულ მისამართზე უნივერსიტეტს არ გააჩნია სარეკრეაციო სივრცე. უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, რაც გამოიხატება ადაპტირებულ სველ წერტილებში და ლიფტში, თუმცა ლიფტის კარის სივიწროვიდან

გამომდინარე შესაძლებელია გართულდეს ეტლით შესვლა. უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასკვნები შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. წარმოდგენილ იქნა 2017 წლის 28 ნოემბერს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული მიწერილობა აღმოჩენილი დარღვევების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა ასევე წარმოადგინა ჯარიმის ქვითარი (2018 31.10). უნივერსიტეტის განმარტებით, ვინაიდან განხორციელდა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რეორგანიზაცია ვერ მოხერხდა დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა, რომ უნივერსიტეტს სახანძრო უსაფრთხოების კუთხით აღმოფხვრილი ჰქონდა დაფიქსირებული დარღვევები.

დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. უნივერსიტეტს არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. ამასთან, მეორე სართულზე არ არის დამონტაჟებული ვიდეო კამერები. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით მოეწყობოდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დასკვნები შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ 2018 წლის 11 აპრილს გაცემული მიწერილობა, სადაც ფიქსირდებოდა დარღვევები. უნივერსიტეტის განმარტებით იგეგმება აღმაშენებლის გამზირზე მდებარე კორპუსის რემონტი. ამჟამად, უნივერსიტეტს გამოცხადებული აქვს ტენდერი საინჟინრო მომსახურების შესყიდვის შესახებ. აღნიშნული მომსახურება უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან 160 კალენდარულ დღეში.

სატენდერო წინადადებაში უნივერსიტეტს მოთხოვნილი აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მომზადება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. **ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;**
2. **მიღება/ჩაბარების აქტები ტექნიკის გაცემის შესახებ;**
3. **ინტერვიუს შედეგები;**
4. **სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული მიწერილობები;**
5. **ჯარიმის ქვითარი**
6. **www.spa.ge;**

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

1. მომზადდეს სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა ორივე მისამართზე;
2. განხორციელდეს შენობის ადაპტირება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის;
3. დამონტაჟდეს კამერები აღმაშენებლის გამზირზე მდებარე შენობაში მეორე სართულზე;;
4. მომზადდეს დასკვნები შენობის უსაფრთხოების შესახებ - რუსთაველის გამზირი N19 და დავით აღმაშენებლის გამზირი N40.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1						
2						
3						
4						
5						